

.შპს „სერვის აგრო“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს *

შპს „სერვის აგრო“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

შპს „სერვის აგრო“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგები	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7-12


შპს „სერვის აგრო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	92,908	14,910
სულ გრძელვადიანი აქტივები		92,908	14,910
მიმდინარე აქტივები			
ფულადი და ფულადი ეკვივალენტები		769,830	5,772
სავაჭრო მოთხოვნები		1,566,006	920,779
გადახდელი ავანსები		41,463	969,400
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		599,669	359,472
სხვა მიმდინარე აქტივები		143,872	37,091
სულ მიმდინარე აქტივები		3,120,840	2,292,514
სულ აქტივები		3,213,748	2,307,424
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		-	20,000
გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)		325,079	200,000
სულ საკუთარი კაპიტალი		325,079	220,000
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		960,896	121,393
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		1,850,295	1,853,423
სხვა ვალდებულებები		77,478	112,608
სულ ვალდებულებები		2,888,669	2,087,424
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,213,748	2,307,424

დირექტორი



კ. კახიანი



7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სერვის აგრო“

საქმიანობის შედეგები


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან		34,346,965	24,446,244
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	7		
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	51,638	15,356
საერთო მოგება		(26,469,846)	(19,263,687)
		7,928,757	5,197,913
სხვა შემოსავალი		72,839	121,956
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(7,513,662)	(4,987,182)
ფინანსური ხარჯები		(148,489)	(134,653)
საოპერაციო მოგება		339,445	198,034
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(14,366)	13,989
მოგება დაბეგვრამდე		325,079	212,023
მოგების გადასახადი		(30,000)	-
წმინდა მოგება		295,079	212,023
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		295,079	212,023

დირექტორი:



კახიანი




7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
შპს „სერვის აგრო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება


საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

	2018 წ	2017 წ
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	35,725,898	27,576,076
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	(32,403,153)	(24,454,909)
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(2,114,953)	(2,923,889)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	1,207,792	197,278
გადახდილი მოგების გადასახადი	(30,000)	-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,177,792	197,278
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(334)	(1,375)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(334)	(1,375)
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	(20,000)	20,000
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	-	59,643
სესხის ძირის გადახდა	(74,911)	
სესხის პროცენტის გადახდა	(148,489)	(134,653)
დივიდენდების გადახდა	(170,000)	(688,345)
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(413,400)	(743,355)
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში	764,058	(547,452)
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	5,772	553,224
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	769,830	5,772

დირექტორი:



კ. კახიანი



7-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს „სერვის აგრო“

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება


საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი _ 31.12.2017 წ.	20 000	-	200 000	220 000
კაპიტალის შემცირება	(20 000)			(20 000)
დივიდენდის განაწილება			(170 000)	(170 000)
2018 წლის წმინდა მოგება (ზარალი)			295 079	295 079
ნაშთი _ 31.12.2018 წ.	-	-	325 079	325 079

დირექტორი:



კ. კახიანი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სერვის აგრო“ დაფუძნდა 2015 წლის 08 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არიან:

- კახა კახიანი 50%;
- დავით ინაური 12,5%;
- შამსუდინ ავლარიგოვი 12,5%;
- ბესიკ ჯიქია 25%;

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია კახა კახიანი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით და ცხოველების საკვებით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის 29, ბინა 43

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- **სასამართლო დავები.** კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარიცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ გააჩნია სასამართლო დავები.

4. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება

ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. წარმოდგენილი ორგანიზაციის მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო	100
			რუსული რუბლი
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701	3.8588

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება გადაზიდვების მომსახურების საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც

შპს სერვის აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადაწყვეტილების მეთოდით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავტო ტრანსპორტი	5
ოფისის სტრუქტურა	5 - 10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 - 10
სხვა	4 - 5

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ავეჯიდა სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა და მოწყობილობები	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	10,893	6,398	17,291
შემოსვლა 2017	339	1,036	1,375
გასვლა 2017	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	11,232	7,434	18,666
შემოსვლა 2018	75,177	6,555	81,732
გასვლა 2018	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.18	86,409	13,989	100,398
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	(89)	(209)	(298)
ცვეთა 2017	(2,178)	(1,280)	(3,458)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	(2,267)	(1,489)	(3,756)
ცვეთა 2018	(2,246)	(1,487)	(3,733)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(4,513)	(2,976)	(7,489)
საბალანსო ღირებულება 31.12. 2016	10,804	6,189	16,993
საბალანსო ღირებულება 31.12. 2017	8,965	5,945	14,910
საბალანსო ღირებულება 31.12. 2018	81,896	11,013	92,909

შპს სერვის აგრო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

7. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის მიერ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 34 398 603 ლარი, მათ შორის:

	2018	2017
საქონლის რეალიზაცია	34,346,965	24,446,244
მომსახურების გაწევა	51,638	15,356
სულ	34,398,603	24,461,60

8. თვითღირებულება

	2018	2017
საწყისი მარაგები	359,472	630,727
მარაგების შესყიდვა	26,710,043	18,992,432
საბოლოო მარაგები (-)	599,669	359,472
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	26,469,846	19,263,687

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2018 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდგენილად:

	2018	2017
ბანკის მომსახურების საკომისიო	25,000	6,860
გადაზიდვების მომსახურების ხარჯები	7,075,469	4,763,195
შემოსავლების სამსახურის მომსახურება	135,478	51,133
საკონსულტაციო ხარჯები	14,100	10,000
ბიუჯეტში გადახდილი ჯარიმები	2,497	216
კომუნალური და ოფისის სხვა ხარჯები	18,435	18,336
დასაქმებულთა ანაზღაურება	221,502	124,913
ცვეთა და ამორტიზაცია	3,733	3,458
იჯარის ხარჯი	17,448	9,071
	7,513,662	4,987,182

10. პოტენციური ვალდებულებები

ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპარაციებს, თუ ამ ოპარაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

11. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.